



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49220284

თარიღი:28/01/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 6

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში

ა.(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის

ცენტრი“-ს მიერ და 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

ა.(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ შეიქმნა 2007 წლის 25 მაისს 10 სამტატო ერთეულით. 2014 წელს დაემატა 1 სამტატო ერთეული დამლაგებელი. 2016 წელს დაემატა 1 სამტატო ერთეული ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი. 2020 წელს დაემატა 1 ენტომოლოგის სამტატო ერთეული, ანუ სულ 13 სამტატო ერთეულია.

2021 წლის III-IV კვარტალში ეპიდზედამხედველობით გამოვლინდა მართვადი ინფექციები მათ შორის :

ქრონიკული ვურუსული ჰეპატიტი „B“-2 შემთხვევა

ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი „C“-11 შემთხვევა

მწვავე ჰეპატიტი „B“2 შემთხვევა

სავარაუდო ინფექციების წარმოშობის დიარიის -87 შემთხვევა

ბრუცელოზი -4 შემთხვევა

ლეპტოსპიროზი -7 შემთხვევა

სავარაუდო საკლვების მიერ მოშხამვა-85 შემთხვევა

ჩუტყვავილა -2 შემთხვევა

ლაიმის დაავადება ბორელიოზი-3 შემთხვევა

ტუბერკულოზი -2 შემთხვევა.

გარდაცვალება 0-დან 5 წლამდე -1 შემთხვევა.

იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში 2021 წლის III-IV კვარტალში წყალტუბოსა და მისი ზონის საექიმო ამბულატორიების ფიზიკური პირების (ოჯახის ექიმები მიერ)ჩატარებულია შემდეგი სახის აცრები :

დიფტერია,ყივანახველა,ტეტანუსის საწინააღმდეგო-232 აცრა

წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო-228 აცრა

ტეტანუსი-დიფტერიის საწინააღმდეგო 108 აცრა

როტარიქსის საწინააღმდეგო 172 აცრა

ჰნემოკოკური ვაქცინით 291 აცრა

პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 86

ჰექსაქსიმის ვაქცინა-293 აცრა

ანტირაბიული 237 აცრა.

პერმანენტულად ვმარაგდებით ლ.საყვარელიძის სახელობის დავადებათა კონტროლის და საზ.ჯანდაცვის ცენტრიდან პირადი აღჭურვილობით, ანტიგენისა და PSR ტესტებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურად არის ჩაბმული covid-19 პანდემიის მართვის საკითხში. პერმანენტულად ხდება ბენეფიციართა კოვიდ ტესტირება ჩვენს მიერ, როგორც სწრაფი ტესტით (ანტიგენის) ასევე PSR ტესტირებით (ოქროს წესით) მუდმივ რეჟიმში ვახდენთ იმერეთის ეპიდ ჯგუფიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის COVID-19 ინფიცირებულთა ეპიდ კვლევას, რეკომენდაციების გაცემას, თვითიზოლაციაში მყოფი პირების და დაავადებული ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ოჯახის ექიმს.

2 კვირაში ერთხელ რეკომენდაციის თანახმად იტესტება შ.ს.ს -ის, საგანდებო სიტუაციების თანამშრომლები, საბავშვო ბაღებისა და სკოლის პედაგოგები, შ.შ.მ -ის მქონე პირები, აგრარული ბაზრის თანამშრომლები, ტაქსის მძღოლების.

2021 III-IV კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის Covid-19 ტესტირება მოხდა 9293 ბენეფიციარში აქედან ანტიგენი -6232, PSR -3061 აქედან დადებითი ანტიგენი- 236 ,PSR -208 , სულ დადებითი 444.

2021 წლის III-IV კვარტალში ფაიზერის ვაქცინაცია ჩაუტარდა 3164 ბენეფიციარს, სინოფარმი 2333, სინოვაკი 383 ბენეფიციარს. სულ ჩატარდა 5880 კორონა ვირუსის საწინააღმდეგო აცრა.

2021 წლის III-IV კვარტალში COVID-19-ით ინფიცირებული 9420, გამოჯამრთელებული 8548, გარდაცვლილი სულ 80.

2021 წლის ნოემბრ-დეკემბრის თვეში ადგილი ჰქონდა „ჩვენი დიდი ოჯახის“ თავშესაფრის ბენეფიციარის დაინფიცირებას, რომელთა ტესტირება ხდებოდა 72 სთ-ში ერთხელ 12 კალენდარული დღის განმავლობაში. დაინფიცირდა მხოლოდ 15 პირი შემდეგ ჯაჭვი გაწყდა.

2021 წლის 22 დეკემბრერს ტელეფონოგრაფიით გადმოცემული იქნა შეტყობინება იმერეთის სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის ფიქრია ჭლიკაძის მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შანიძის ქუჩა #4ბ-ში მცხოვრებ კობა გიორბელიძის ძაღლის ცოფზე საექვო ქცევის შესახებ. მიკროსკოპულად ცხოველში დადასტურდა ცოფი. ეპიდ კვლევით დადგინდა, რომ ძაღთან კონტაქტში იმყოფებოდა კობა გიორბელიძე რომელიც ჩაება ანტირაბიულ მკურნალობის სრულ კურსში.

პარაზიტოლოგიურ სამსახურს ახორციელებს ექიმი პარაზიტოლოგი და ლაბორანტი . 2021 წლის III-IV კვარტალში პარაზიტოლოგიურ სამსახურში თვით დინებით შემოვიდა

პარაზიტებზე (ჭიის კვერცხების მტარებლობაზე) გამოკვეული იქნა - 18 მათ შორის ენტერობიოზი აღმოჩნდა 14 პაციენტს, ასკარიდა-0, უარყოფითი-4.

ა(ა)ი.პ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2021 წლის - III-IV კვარტალში ბიუჯეტი გეგმით გამოყოფილი იყო 101976 ლარი ხოლო ფაქტიურად შესრულებამ შეადგინა 98714 ლარი.

ბიუჯეტი ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

1. თანამდებობრივი სარგო 88503 გეგმით ფაქტიურად-88503 ლარი
2. საკანცელარიო გეგმით 1482 ლარი ფაქტიურად 1482 ლარი
3. ნორმატიული აქტი გეგმით 100 ლარი ფაქტიურად 60 ლარი
4. კატრიჯების შეძენა დამუხტვა გეგმით 850 ლარი ფაქტიურად 0 ლარი
5. რეცხვა ქიმიწმენდა გეგმით 105 ლარი ფაქტიურად 105 ლარი
6. ტელეფონი და ინტერნეტი გეგმით 570 ლარი ფაქტიურად 567
7. ჯეოსელის კორპორაციული გეგმით 300 ლარი ფაქტიურად 282
8. წყალი გეგმით 100 ფაქტიურად 100 ლარი
9. საწვავი (ბენზინი) გეგმიით 7871 ლარი ფაქტიურად 5600 ლარი
10. ავტო სათადარიგო ნაწილები გეგმით 815 ფაქტიურად 815 ლარი
11. შენობა ნაგებობების დაცვა გეგმით 480 ლარი ფაქტიურად 400 ლარი
12. ელექტრონული შტამპი მომსახურეობა და აღდგენა გეგმით 800 ლარი ფაქტიურად 800 ლარი

სულ გეგმა 101976 ფაქტიურად 98714 ლარი.